გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი, წარდგენილი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვლებლად

მეორე კურსის სტუდენტი: დაჩი მშვიდობაძე

ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე**

დანაშაულში თანაამსრულებლობა

2021 წ.

სარჩევი

შესავალი..... 4

თავი I. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, არსი და მნიშვნელობა.....7

1.1. დანაშაულთა გახსნის და გამოძიების ცნება…….……..9

1.2. კრიმინალისტიკური ვერსიები……...12

1.3. დანაშაულის გამოძიების დაგეგმვა……....14

1.4. საგამოძიებო სიტუაციის ცნება და მნიშვნელობა……17

თავიII. საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში…...…...……....20

2.1.გამოძიების არსი და მისი დაწყების საფუძვლები…….…....20

თავი III. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ზოგადი წესები……..…27

თავი IV. საგამოძიებო ექსპერიმენტი…….…….36

თავი V. ამოსაცნობად წარდგენა……..……42

დასკვნა……..49

გამოყენებულილიტერატურა……...…..51

შესავალი

2010 წლის 10 ოქტომბერს ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნულმა კანონმა მანამდე არსებული ინკლუზიური სისტემის ნაცვლად, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის შემოღებით, დაამკვიდრა სამართლებრივი განვითარების ახალი ეპოქა.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს ისეთი უმნიშვნელოვანესი საგამოძიებო მოქმედებების პროცესუალური და კრიმინალისტიკური ასპექტები, როგორიცაა საგამოძიებო ექსპერიმენტი და ამოსაცნობად წარდგენა.

2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო. კოდექსის მიღება ინტენსიური შესწავლის, განხილვისა და შედგენის ხუთწლიანი პროცესის შედეგი იყო. ამით საქართველო შეეცადა საბჭოთა სტილის ინკვიზიციური სისტემიდან შეჯიბრებითობით სისტემაზე გადასულიყო. ჩვენი დღევანდელი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ხასიათდება ანგლო-ამერიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ახალ სისტემაში მოსამართლე არის არბიტრი და არა ინკვიზიტორი, ხოლო დაცვის მხარე უფრო თანასწორ საფეხურზე დგას ბრალდების მხარესთან მიმართებაში -მას ფაქტების საკუთარი გამოძიების შესაძლებლობა აქვს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს[1]. ეს ძველი კოდექსი დიდწილად ასახავდა საბჭოთა პერიოდის ინკვიზიტორულ მიდგომებს. იგი მოიცავდა ძალზედ მოცულობითი და რთული მოკვლევის, გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპებს.

[1]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია მოქმედი რედაქციით საუბრობდა სამართალწარმოების შეჯიბრებით ხასიათზე,[2] მაგრამ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ეს კონსტიტუციური დებულებები განმარტებული იყო ისე, რომ შეჯიბრებით წარმოებას ადგილი ჰქონდა მთელი სამართალწარმოების პროცესის მხოლოდ ბოლო სასამართლო საქმის განხილვის ეტაპზე.

ახალი საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, „სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა ტანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.[3]

სისხლის სამართლის საქმეზე მაღალი ალბათობის დონეზე პირის ბრალეულობის დადგენა ძალიან მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და რთული საქმიანობაა, რომლის დროსაც საქართველოში სისხლისამართალწარმოება ხორციელდება ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მოიცავს ცალკეულ მნიშვნელოვან სტადიებს.

გამოძიება არის სისხლის სამართალწარმოების საწყისი სტადია, გამოძიების არსი ისაა, რომ ყველა ფაქტობრივი გარემოება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად იყოს შესწავლილი და გამოძიებული.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მეტად რთულია და გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება, იგი მოქცეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებში და მის ფარგლებში მოძრაობს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–3 მუხლის თანახმად,[4] გამოძიება - ეს არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით

---

[2]საქართველოს კონსტიტუცია 2016 წ. მდგ., მუხ. 85;
[3]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2016 წ. მდგ., მუხ. 9.
[4]იქვე, მუხ. 3.

დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

გამოძიება ქმნის აუცილებელ პირობებს მართლმსაჯულების კანონიერად განხორციელებისათვის. გამოძიების წარმოება, სისხლის სამართლის საქმეზე მაღალი ალბათობის დონეზე პირის ბრალეულობის დადგენა ძალიან მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და რთული საქმიანობაა, რომლის დროსაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ხორციელდება სხვადასხვა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება.მის დროულად და სრულად ჩატარება უზრუნველყოფს გამოძიების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენას, რადგან გამოძიება გარკვეულ სამზადის წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განსახილველად.

გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა[5].

გამოძიების და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც გამოძიების სტადიაზე, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, კანონით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო მოქმედებას, დაწყებული საქმის გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით[6].

თავი I. კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნება, არსი და მნიშვნელობა

[5]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2015 წ. მდგ.
[6]საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2015 წ. მდგ.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა კრიმინალისტიკის სისტემის შემადგენელი ნაწილი და მისი უმნიშვნმელოვანესი დარგია. ლიტერატურაში ზოგჯერ კრიმინალისტიკური ტაქტიკის ნაცვლად იყენებენ ტერმინს - „საგამოძიებო ტაქტიკა“, რომელიც თავისი არსითა და გაგებით უფრო ვიწრო ცნებაა.

რაც შეეხება „კრიმინალისტიკური ტაქტიკა“-ს, იგი შედარებით ფართო ცნებაა და მისი სუბიექტები შეიძლება იყვნენ პროცესის სხვა მონაწილეებიც. მაგალითად, ცნობილია, რომ კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებულ ხერხებსა და მეთოდებს, დანაშაულის გამოძიების პროცესში ასევე წარმატებით იყენებს ოპერატიული მუშაკი, პროკურორი და სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. ე. ი. კრიმინალისტიკური ტაქტიკის გამოყენებულ სუბიექტთა წრე უფრო ფართოა და მხოლოდ გამომძიებლით არ შემოიფარგლება.

მიუხედავად იმისა, რომ „გამომძიებელი ახდენს გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა შეკრებას, წინასწარი გამოძიების ჩატარებას და დამთავრებას, საბრალდებო დასკვნის შედგენას და მის წარდგენას დასამტკიცებლად პროკურორისთვის, ასევე უშუალოდ ასრულებს სხვადასხვა სახის პროცესუალურ მოქმედებებს, არ იქნება მართებული კრიმინალისტიკურ ტაქტიკას „საგამოძიებო ტაქტიკა“ ვუწოდოთ და გამომძიებლის კუთვნილებად ვაქციოთ“[7].

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკის საგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მჭიდრო, განუყოფელ კავშირშია კრიმინალისტიკის საგნის სხვა განყოფილებებთან. დანაშაულის გამოძიების შემეცნების პროცესში დასაშვები ტაქტიკური ხერხები და მეთოდები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:პირველს უნდა მივაკუთვნოთ გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების ის ჰიპოთეზური გზები და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, რომელთა სწორად დასახვა და შემოწმება დანაშაულის გახსნის ერთ-

[7]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა, თბ., 2006,გვ. 6.

ერთი საუკეთესო საწინდარია,ხოლო მეორეს უნდა მივაკუთვნოთ ის ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება უფრო ეფექტურს ხდის გამოსაძიებელ საქმეზე ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს.

ზემოთხსენებულ კლასიფიკაციის მიხედვით პირველს მიეკუთვნება მოძღვრება კრიმინალისტიკური ვერსიების, მათი აგების და შემოწმების ჰიპოთეზური გზები; გამომძიებლის რთული, შრომატევადი საქმიანობის ორგანიზაციული ხასიათის ისეთი ტაქტიკური ხერხებისა და მასზე ჩასატარებელი ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა; დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის ცნება, არსი და მნიშვნელობა; გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურის ორგანოს ურთიერთკავშირი. ხოლო მეორეს ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების ის ტაქტიკური ხერხები, მეთოდები და საშუალებები, რომელთა გამოყენება თავისი შედეგებით კიდევ უფრო ეფექტურს ხდის საქმეზე ჩასატარებელ თითოეულ ამ პროცესუალურ მოქმედებასა და საბოლოოდ ხელს უწყობს გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის გახსნასა და მომავალში მსგავსი დანაშაულებრივი შემთხვევის თავიდან აცილებას.

კრიმინალისტიკური ტაქტიკის უმთავრესი მიზანია მეცნიერული კვლევის ხერხებითა და მეთოდებით უზრუნველყოს ოპერატიული სამსახურისა და წინასწარი გამოძიების და, საერთოდ, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები, რომ მათ თავიანთ რთულ მიზანდასახულ საქმიანობაში უფრო ეფექტურად გამოიყენონ კრიმინალისტიკური ტაქტიკის საერთო და კერძო სპეციფიკური ხერხები და მეთოდები და წარმატებით გაართვან თავი გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის სწრაფ, სრულ გახსნასა და მსგავსი დანაშაულებრივი შემთხვევის თავიდან აცილებას.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკური მეცნიერების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ლოგიკის, ფსიქოლოგიის და სხვა მსგავსი მეცნიერების მიღწევების ზოგადი დებულებების და საკუთრივ შემუშავებული კვლევის სპეციალური მეთოდების საფუძველზე, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქმნის და შეისწავლის მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის ისეთ ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება ხელს უწყობს საგამოძიებო საქმიანობის სწორად წარმართვას, გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებების შეკრებას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას[8].

1.1.დანაშაულთა გახსნის და გამოძიების ცნება

დანაშაულთა გახსნის ტაქტიკისა და მეთოდიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია დანაშაულის გახსნის და გამოძიების ცნების სწორად გაგება. ამ საკითხის სრულყოფილს შესწავლა-გამოკვლევას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისითაც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცებულებათა ყოველმხრივ, ობიექტურ და სრულ გამოკვლევას, აგრეთვე მასში მხოლოდ ზოგადად არის მითითებული იმაზე, რომ საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული.

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში დანაშაულის გახსნის ცნების შესახებ მოსაზრება შესაძლოა დაიყოს ოთხ ჯგუფად: პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის პირები, რომლებიც დანაშაულის გახსნის ცნებას შედარებით ვიწრო

[8]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2006, გვ. 9.

სახით წარმოიდგენენ და დანაშაულის გახსნად მიიჩნევენ დანაშაულის შემთხვევის გამოვლინებასა და პირის დაკავებას; მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის პირები, რომლებიც დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას და ბრალდებულის სახით მის პასუხისგებაში მიცემას გულისხმობს;მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ის პირები, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ საქმეზე მტკიცების ქვემდებარე ყველა გარემოების დადგენას;მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება პირები, რომლებიც დანაშაულის გახსნის ცნებაში აერთიანებენ აგრეთვე განაჩენის გამოტანასა და მის კანონიერ ძალაში შესვლას.

მიგვაჩნია, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ამ შემთხვევაში არის მესამე და მეოთხე ჯგუფის მოსაზრება, იმიტომ რომ დანაშაულის გახსნა არ უნდა სრულდებოდეს მხოლოდ ეჭვმიტანილი პირის დაკავებით და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემით, და საქმის გამხსნელი პირი უნდა იყოს დაინტერესებული ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენით, ასევე იმ გარემოებებით თუ რომელი მტკიცებულება მიიღო სასამართლომ განაჩენის გამოტანის დროს პირის გასამართლებლად ან გასამტყუნებლად, ასევე თუ როდის შევიდა აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში. სწორედ აღნიშნული გარემოებების დადგენის შემდეგ მოხდება დანაშაულის შემადგენლობის სრულყოფილი გამოვლინება და ჭეშმარიტების დადგენა.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე საქმის სრული გახსნა ნიშნავს, მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ყოველმხრივ, სრულ გამოკვლევას, გამოსაძიებელ ფაქტზე მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას, მის შესაბამისად ყველა საჭირო გარემოებათა დადგენას, მათ შორის ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი მიზეზების დადგენას. მაგრამ საბოლოოდ საქმის გახსნილად ცნობა სასამართლოს პრეროგატივაა.

პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში გარკვეული დავა წარმოებს აგრეთვე დანაშაულთა „გახსნისა“ და „გამოძიების“ ცნებათა შესახებ. აღნიშნულ საკითხზე პროფ. ბ. ხარაზიშვილი აღნიშნავდა, რომ „დანაშაულის გახსნა სულ სხვა შინაარსის გამომხატველია, ვიდრე დანაშაულის გამოძება. საქმე ისაა, რომ დანაშაულის გახსნა თავისთავად გამოძიების შედეგად გვევლინება. დანაშაული შეიძლება იყოს გამოძიებული, მაგრამ არ იყოს გახსნილი, მაგრამ თუ დანაშაული გახსნილია, იგი აუცილებლად გამოძიებულიცაა“. ამ შემთხვევაში დანაშაულის გახსნა უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე დანაშაულის გამოძიება, რადგან გამოძიებას თავისთავად მოიცავს დანაშაულის გახსნა.

ამ მოსაზრებას ამყარებს კიდევ ერთი კითხვა: სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამოძიება იქნა ჩატარებული ყველა გაიხსნა? რა თქმა უნდა არა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ვიტყოდით არა საქმის გაუხსნელობაზე, არამედ საქმის გამოუძიებლობაზე. მაგრამ წარმოუდგენელია საქმე გახსნილი იყოს, მაგრამ გამოძიებული არ იყოს[9]

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, თუ დანაშაული გახსნილია, მაშინ იგულისხმება, რომ იგი გამოძიებულია, მაგრამ პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამოსაძიებელ საქმეზე მთლიანად ამოწურული იქნას მტკიცებულებათა მიღების ყველა პროცესუალური საშუალება, მაგრამ შეკრებილ მტკიცებულებათა უკმარისობის გამო საქმე წარმოებით შეწყდეს (როგორ ხდება?) ან იგი გაუხსნელი დარჩეს.

საქმის სრული გახსნა ნიშნავს იმას, რომ საქმეზე გამოძიება სრულყოფილადაა ჩატარებული, დადგენილია საქმეზე მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მასზე სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

[9]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2006, გვ. 26

1.2.კრიმინალისტიკური ვერსიები

კრიმინალისტიკური ვერსიები და მათ შორის, საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების და დანაშაულის გახსნის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ამიტომაც სწავლებას საგამოძიებო მოქმედების შესახებ, აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობაც.

გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების და ახსნა-გამოკვლევის პროცესში გამომძიებელი შემოქმედებითად იყენებს ლოგიკურ აზროვნების კანონებს, საქმეზე შეკრებილ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე აგებს მათი ახსნის სხვადასხვა სავარაუდო მიზეზებს ე. წ. საგამოძიებო ვერსიების სახით.

ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, საგამოძიებო ვერსიები, თავიანთი ლოგიკური ბუნებით, არაფრით არ განსხვავდება ჰიპოთეზებისაგან(მოვლენის სავარაუდო ახსნა), ამიტომაც ისინი საგამოძიებო ვერსიებს ჰიპოთეზებთან აიგივებენ.

საგამოძიებო ვერსიას არ შეიძლება მივანიჭოთ იმაზე მეტი მნიშვნელობა, რასაც იგი ემსახურება და რასაც იგი წარმოადგენს. საგამოძიებო ვერსია არის უფრო ვიწრო ცნება ვიდრე ჰიპოთეზა და ამიტომ ის არის ჰიპოთეზის ნაირსახეობა.

მაშასადამე საგამოძიებო ვერსიები არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ჰიპოთეზებთან და ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზის აგების და შემოწმების წესი ეხება აგრეთვე საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებას.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტყვა „ვერსია“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რაიმე ფაქტის ან შემთხვევის ახსნას, მის გადმოცემას. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საგამოძიებო ვერსიების განმარტებისას.

დანაშაულების შემთხვევის ფაქტების გამოკვლევის პროცესში წამოყენებული ვერსიები უნდა ემყარებოდეს საქმეზე შეკრებილ ფაქტობრივ მონაცემებს, გამომდინარეობდეს მათგან და აგებულ იქნეს ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა კვლევის დედუქციური მეთოდები და ლოგიკური ხერხები: ანალოგია და სინთეზი.

წარმოუდგენელია დანაშაულებრივი შემთხვევის, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტის, ყოველმხრივი გამოკვლევა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა გამოძიების პროცესში, დასაბუთებული ვერსიების აგებისა და შემოწმების გარეშე. სწორედ ამიტომ გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო ვერსიების აგება გამომძიებელს ეხმარება გამოსაძიებელ ფაქტზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.

საგამოძიებო ვერსიები თავისთავად მოიცავს იმ ტაქტიკურ ხერხებსაც, რომლებიც გამოიყენება მათი შემოწმების მიზნით. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ თავის დანიშნულებითა და მოცულობით ვერსია უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე საგამოძიებო მოქმედების დროს გამოყენებული ტაქტიკური ხერხი.

ამრიგად საგამოძიებო ვერსია არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციალური მეთოდი, რომელიც გვაძლევს საშუალებას სწორად წარვმართოთ გამოძიება, შევიცნოთ და დავადგინოთ გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტება.

დანაშაულის გახსნის პროცესში კრიმინალისტიკური ვერსია შეიძლება წამოყენებულ იქნეს არა მარტო გამომძიებლის, არამედ ოპერატიული მუშაკის, ექსპერტის, ბრალდებულის ან დაზარალებულის მიერ.

კრიმინალისტიკური ვერსიებიდან უმთავრესია ვერსიები, რომელსაც აგებს გამომძიებელი გამოსაძიებელი შემთხვევის ან კონკრეტული გარემოების ახსნის მიზნით. გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი ცალკეული ელემენტების, გარემოებების

და ფაქტების კვლევის ობიექტთა მოცულობისა და დანიშნულების შესაბამისად განასხვავებენ ზოგად, კერძო და დეტალურ ვერსიებს

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოყენებული ყველა ვერსია სრულყოფილად უნდა იქნას შემოწმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გაუხსნელი დარჩება ან გამოტანილი განაჩენი გაუქმდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევის გამო. მაგალითად: პირს, რომელსაც ბრალი ედებოდა ადამიანის მკვლელობაში მან სასამართლოში საქმის განხილვის დროს განაცხადა, რომ იმ მომენტში როდესაც მოხდა მკვლელობა არ იმყოფებოდა კონკრეტულ ქვეყანაში და ამ ვერსიის შესამოწმებლად სასამართლომ საქმე დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა პროკურატურაში.

გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით წამოყენებული საგამოძიებო ვერსიები უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს იმ ფაქტობრივი მონაცემებიდან, რომლებიც გამომძიებელს ხელთ აქვს. ვერსიების აგებისას იგი იყენებს კვლევის დედუქციურ მეთოდსა და სხვა ლოგიკური აზროვნების ხერხებს - ანალოგიასა და სინთეზს. საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებაში ანალოგია ასრულებს არა მთავარსა და გადამწყვეტ როლს.[10]

გამოძიების დაწყების ეტაპზე საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსიის შემოწმება უნდა მოხდეს პარალელურად და არ შეიძლება რომელიმე ვერსიისთვის უპირატესობის მინიჭება, ან წინასწარ აკვიატება კონკრეტული ვერსიის სისწორის შესახებ და სხვა ვერსიების დატოვება შემოწმების გარეშე.

1.3.დანაშაულის გამოძიების დაგეგმვა

[10]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 319.

დანაშაულის გამოძიების დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასთან, რადგან საგამოძიებო ვერსიები გამოძიების დაგეგმვის საფუძველია. გამოძიების დაგეგმვა კი საგამოძიებო ვერსიების თანმიმდევრული შემოწმების ერთ-ერთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიების გამოხატულებაა. ამიტომაც არ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან დაცილება.

დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში გამოძიების დაგეგმვისა და საგამოძიებო ვერსიების გამოყენებას აქვს სპეციფიკური ხასიათი.გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა არის გამომძიებლის ორგანიზაციული ხასიათის ისეთი ღონისძიება, რომელითაც უზრუნველყოფს მთელი თავისი საქმიანობის მიზნობრივად სწორად წარმართვას. იგი არის გამოძიების მაღალხარისხოვნად ჩატარების ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობა.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრულ მოქმედებაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმეზე მტკიცებულებათა მიღება და მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია გამოძიების გაშლილი გეგმის შედგენა მოხდეს თავიდანვე, საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან, ვინაიდან ამ დროისთვის გამომძიებელს არ გაუჭირდება ისეთი მონაცემების მოპოვება, რომელთა საფუძველზეც შეიძლება საქმეზე საგამოძიებო ვერსიების აგება და გამოძიების გეგმის შედგენა. მაგრამ ეს არ უნდა იქნას ისე გაგებული, რომ თითქოს გამოძიების გეგმის შედგენით მთავრდება გამომძიებლის მუშაობა. წერილობითი სახით გეგმის შედგენა, მისი გარეგნული ფორმაა, რომელიც გამოძიების მიმდინარეობის შესაბამისად განიცდის გარკვეულ ცვლილებასა და განვითარებას.

გამოძიების დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია მისი დინამიკურობა, რადგან იგი იცვლება გამოძიების ცალკეული ეტაპების შესაბამისად. ამიტომ გამომძიებელი ვალდებულია მის მიერ შედგენილ გეგმაში თანმიმდევრულად

შეიტანოს საჭირო ცვლილებები ახლად მიღებულ მონაცემებისა და საგამოძიებო სიტუაციის შეცვლის შესაბამისად, რათა მან არ დაკარგოს თავისი დანიშნულება, რადგან მისთვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით ინდივიდუალურია და არ შეიძლება პირვანდელი სახით შაბლონურად იქნას გამოყენებული სხვა საგამოძიებო საქმეზე. ე. ი. დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი ინდივიდუალურობა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ გამოძიების გეგმა ყოველ კონკრეტულ საქმეზე, მთელი თავისი დეტალებით, ვარგისია მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისთვის.

გამოძიების გეგმის დინამიკურობა ნიშნავს იმას, რომ გამოძიების პროცესში, საქმეზე წარმოებული გამოძიების და შესაბამისად, იგი განიცდის მუდმივ ცვლილებას[11].

ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოხსენიებულია აგრეთვე დაგეგმვის ისეთი პრინციპები, როგორიცაა დაგეგმვის რეალურობა, კონკრეტულობა და დროულობა.

სისხლის სამართალწარმოებაში შეიძლება გამოვყოთ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პროცესუალური და არაპროცესუალური ფორმა. ორივეს ახორციელებენ პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ გარკვეული პროცესუალური რწმუნებულება ან გააჩნიათდადგენილი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. პირველ შემთხვევაში მეცნიერული მონაცემების გამოყენების მსვლელობისას, შესაძლებელია დადგეს რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე შედეგი. მეორე შემთხვევაში კი ასეთი შედეგის დადგომა შეუძლებელია[12].

---

[11]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007, გვ. 61;
[12]ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში,თბ., 2005, გვ. 49-50.

1.4.საგამოძიებო სიტუაციის ცნება და მნიშვნელობა

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ზოგადს, კერძოს, მარტივსა და რთულ საგამოძიებო სიტუაციებს.

ზოგად სიტუაციად მიჩნეულია დანაშაულის გამოძიების მსვლელობად და მდგომარეობა, საქმეზე მნიშვნელობის მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთიანობა, მათი სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამოძიების მიმართულება, შეირჩეს პირველდაწყებითი გადაუდებელი - საგამოძიებო მოქმედებათა კომპლექსი და შემუშავდეს ზოგადი ვერსიები.

კერძო სიტუაცია ეხება გამოძიების ცალკეული ეპიზოდების მდგომარეობას, მათ მნიშვნელობას, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პირობებს, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სხვ. მარტივ სიტუაციად მიჩნეულია ისეთი გარემოება, როცა გამოძიების დასაწყისში მისი ჩამდენი პირი სახეზეა და შემთხვევა ატარებს ერთნიშნიან ხასიათს.

რთულ საგამოძიებო სიტუაციაში მიჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა გამოძიების დასაწყისში დანაშაულებრივი გარემოების შესახებ არსებობს არასაკმარისი ინფორმაცია.

ა. ვასილევი თავის მონოგრაფიაში „საგამოძიებო სიტუაცია“ აღნიშნავს, რომ ტაქტიკური ხერხის შერჩევა და გამოყენება დამოკიდებულია საგამოძიებო სიტუაციაზე, გამომძიებლის მიერ მათ შეფასებაზე. ამასთან, იგი საგამოძიებო სიტუაციას იხილავს, როგორც ზოგადს, - მთელ გამოსაძიებელ საქმეზე და კერძოდ, - გამოძიების ცალკეული ეპიზოდის ან საგამოძიებო მოქმედების შესახებ.[13]

[13]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007, გვ. 78

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ასევე ერთმანეთისგან განასხვავებენ ტიპურს, სპეციფიკურს, მარტივსა და რთულ სიტუაციებს. ტიპურ სიტუაციად მიიჩნევენ ისეთ ხშირად გამოსაძიებელ სიტუაციებს, რომლებიც მოიცავენ არასაკმარის ინფორმაციებს და ხასიათდებიან მეტად ზოგადი ნიშნებით; სპეციფიკურ სიტუაციად - ისეთ სიტუაციას, როცა მიღებული ინფორმაციები ხასიათდება მეტი კონკრეტულობით.

მარტივი სახის საგამოძიებო სიტუაციად მიჩნეულია ისეთი შემთხვევები, როცა საქმის გამოძიებისთანავე გამომძიებელს აქვს საკმაო ინფორმაცია მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის და მისი ჩამდენი პირის შესახებ.

რთულ საგამოძიებო სიტუაციებში ერთიმეორისგან განასხვავებენ ისეთი 5 ჯგუფის სიტუაციას, როცა:

1) საქმეზე არსებობს საკმაო ინფორმაცია დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ (მაგალითად: მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა) უცნობია ჩამდენი პირი;

2) საქმეზე მოიპოვება მონაცემები დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისა და დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ (მაგალითად: ქრთამის აღება, გაუპატიურება, მაგრამ არ არის საკმარისი ინფორმაცია იმაზე, ამ გარემოებას ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი);

3) საქმეზე მოიპოვება საკმაო ინფორმაცია გამოსაძიებელი შემთხვევის არსებობის და მასზე პასუხისმგებელი პირის შესახებ (მაგალითად: დანაკლისი, ავტოავარია, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა და სხვა), მაგრამ გაურკვეველია ეს ქმედება არის თუ არა დანაშაულებრივი;

4) ცნობილია დანაშაულებრივი შემთხვევა და იმ პირთა წრე, რომელთაც შეეძლოთ მოცემული დანაშაულის ჩადენა (მაგალითად: ნადირობის დროს ჩადენილი მკვლელობა, ჩხუბში ჩადენილი მკვლელობა და სხვა.)

5) არსებობს ინფორმაცია კონკრეტული შემთხვევის შესახებ, მაგრამ გაურკვეველია არის თუ არა იგი დანაშაულებრივი და, ამასთან, არ არის ცნობა ქმედების ამბის ჩამდენი პირის შესახებ (პირის უგზოუკვლოდ დაკარგვა და სხვ.)

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „საგამოძიებო სიტუაცია არის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გარკვეულ მომენტში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება გამომძიებლის გამგებლობაში არსებული მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოცულობითა და ხასიათით, აგრეთვე, კონკრეტულ გარემოებაში აღმოცენებული სხვა გარეშე ობიექტური ფაქტორებით“[14].

[14]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 331.

თავი II. საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის პროცესში

2.1.გამოძიების არსი და მისი დაწყების საფუძვლები

გამოძიება სისხლის სამართალწარმოების საწყისი სტადიაა[15], რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტურად იქნას შესწავლილი და გამოკვლეული მომხდარ ფაქტთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. გამოძიების ამოცანაა, შეკრიბოს დანაშაულის გასახსნელად საჭირო მტკიცებულებები, დაადგინოს, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული, მოახდინოს ბრალდების ჩამოყალიბება. გამოძიების პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაცვის პირობების შექმნა და პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალიზაცია, შექმნას წინაპირობა დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, უზრუნველყოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება, გამოავლინოს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი და მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთად, მოამზადოს სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლო განხილვისათვის.[16]

გამოძიება შრომატევადი პროცესია, რომელიც მოითხვას დიდ ძალისხმევასა და დაძაბულ მუშაობას. გამოძიებას აწარმოებენ პროკურორი და გამომძიებელი, თავად პროკურორსაც შეუძლია უშუალოდ აწარმოოს გამოძიება, ასეთ შემთხვევაში იგი სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით. პროკურორი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში ზედამხედველობას უწევს გამოძიების მიმდინარეობას. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან

[15]ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გამოცემა, თბ., 2015, გვ. 14;
[16]მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012, გვ. 8;

დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.[17]

გამოძიების დაწყების საფუძველია ნებისმიერი სახის ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. როგორც წესი ასეთი ინფორმაციის წყაროდ გვევლინებიან მესამე პირები, რომლებმაც გააკეთეს განაცხადი დანაშაულის შესახებ, პროკურატურაში პოლიციაში ან რომელიმე საგამოძიებო ორგანოში, ასევე გამოძიებას შეიძლება საფუძვლად დაედოს ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში თუ მასმედიაში. დანაშაულის შესახებ შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმით წერილობითი ზეპირი ან სხვა ნებისმიერი ფორმით.

ანონიმური ინფორმაციის შემთხვევაში გამომძიებელი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება, თუმცა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დაუშვებელია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ მხოლოდ ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე.

ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში (მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის წყაროს) პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება (სსსკ-ის 100-ე და 101-ე მუხლები). თუ გამოძიების საწყის ეტაპზე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა უცნობია, მაშინ მიმდინარეობს გამოძიება დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.[18]

გამოძიების პროცესში თუ გამოიკვეთება ისეთი გარემოებები, რომ კონკრეტული საქმის გამოძიება სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, პროკურორი ვალდებულია გადაუგზავნოს საქმე შესაბამის ორგანოს.

---

[17]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, 2016.

[18]მელაძე გ., სისხლის სამართლის სტადიების ზოგადი მიმოხილვა, სამართლის ბლოგი, mimomxilveli.wordpress.com, 2012.

გამოძიების ვადები განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კანონით.გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადებში, მაგრამ არ უნდა აჭარბებდეს კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში განმარტებულია ის გარემოებები, რომლებიც პროკურორს აძლევს უფლებას შეწყვიტოს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. სისხლისსამართლებრივი დევნაწყდება:თუ ქმედება, რომელიც პირმა ჩაიდინა, არ არის დანაშაულებრივი ან მართლსაწინააღმდეგო; ახალი კანონით მოხდა ძველის დეკრიმინალიზაცია; თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, ცნობილია არაკონსტიტუციურად; თუ გასულია ხანდაზმულობის ვადები; თუ ირღვევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი; თუ უკვე არსებობს პროკურორის დადგენილება დევნის შეწყვეტის შესახებ; პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე; ნებაყოფლობით ხელის აღებისა ან ქმედითი მონანიების შემთხვევაში;

ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნისა ან/და გამოძიებს შეწყვეტის საფუძველია: პირის შეურაცხაობა ასაკისა და ფსიქიკური ნაკლის გამო; თუ ბრალდებული გარდაიცვლება და თუ პირი ჩაიდენს დანაშაულს (332/1-ე, 344-ე ან 362-ე), მაშინ როდესაც იგი თავად არის დაზარალებული ადამიანით ან არასრულწლოვნით ვაჭრობის შემთხვევებში.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის პირველი საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა. როდესაც გამოძიებით დადგინდება, რომ დანაშაული არ მომხდარა, მაშინ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოძიება უნდა შეწყდეს.

როდესაც გადამოწმდება შემოსული ინფორმაცია დანაშაულის თაობაზე, აუცილებელია დადგინდეს, ჩადენილი ქმედება არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო. შესაძლოა ქმედება მართლაც იყოს ჩადენილი მაგრამ იგი ჩადენილი იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებებით და შესაბამისად აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება დანაშაულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირი ვინც ჩაიდენს დანაშაულს, მის მიმართ გამოიყენება ის კანონი, რომელიც ქმედების ჩადენის დროს გამოიყენებოდა, მაგრამ სისხლის სამართლის კანონს აქვს უკუძალა იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სასჯელს. ასეთ შემთხვევაში, როგორც გამოძიება, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

როდესაც ის კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება არა კონსტიტუციურად არის ცნობილი, ეს ხდება საფუძველი იმისა, რომ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება.

გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისამართლებრივიდევნის არდაწყების და შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი, სისხლის სამარლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო[19].

სისხლსისამართლებრივი დევნის შეწყვეტას ასევე იწვევს ამნისტიის აქტი. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი, ინდივიდუალურად განუსაზღვრელ

[19]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2016, გვ. 335; ლომსაძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 217-221;

პირთა მიმართ. ამნისტია გამოიყენება როგორც მსჯავდებულის, ასევე ბრალდებულის მიმართ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18-ე მუხლის მე-2 ნაწილი არის კიდევ ერთ-ერი საფუძველი, ეს მუხლის არის სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი, ამ მუხლის მიხედვით დაუშვებელია პირი მიეცეს პასუხისგებაში ერთი ქმედებისათვის ორჯერ და განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იგივე დანაშაულზე, ეს განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით[20].

სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება ასევე, თუ კონკრეტულ საქმეზე უკვე არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ და ეს დადგენილება არ არის გაუქმებული. თუ ადრე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებობს პროკურორის დადგენილება დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, პროკურორი ეს არის სახელმწიფო ბრალმდებელი, სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და პროცესზე მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. პროკურორი, კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში, საპროცესო კანონმდებლობით უფლებამოსილია უარი თქვას ბრალდებაზე, შესაბამისად ბრალზე უარის თქმა ნიშნავს გამოძიებისა და დევნის გაგრძელების შეწყვეტას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც[21] სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კიდევ ერთი საფუძველია. სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც ხელს აიღებს დანაშაულის სისრულეში მოყვანაზე, ნებაყოფლობით და საბოლოოდ, თავისუფლდება

[20]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2016 წ. მდგ.
[21]სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2016, გვ. 250.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ხელის აღებამდე ჩადენილი წინარე ქმედებები არ იყო დანაშაულებრივი.

თუ პირმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, მის მიერ ჩადენილი ქმედებაზე სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ ნებაყოფლობით გამოცხადდა ორგანოში ბრალის აღიარებით, თუ მან ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას, გააცნობიერა მის მიერ ჩადენილი ქმედება და ინანიებს მას, ეს ყველაფერი განოიხილება ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად და შესაძლოა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებასაც დაედოს საფუძვლად.

ზემოთ დასახელებული შემთხვევების გარდა, პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ გამოძიებისას დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირი არ იყო იმ კონკრეტულ ასაკს მიღწეული, რომლიდანაც საქართველოს კანონმდებლობით დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება ასევე არ შეერაცხება ბრალად იმ პირს, რომელზეც ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაადგენს, რომ იგი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო ანუ იგი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიატრიული ავადმყოფობით, ჭკუასუსტობით, დროებითი ფსიქიკური აშლილობით ან სხვა რომელიმე ფსიქიატრიული დაავადებით და მას დანაშაულის ჩადენისას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თუ რა ქმედებას სჩადიოდა და რა შედეგი შეიძლებადამდგარიყო.
სისხლისსამართლებრივი დევნა ასევე წყდება, თუ დანაშაულის სუბიექტი გარდაიცვლება, გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოძიებისას დადგინდება სხვა პირების ბრალეულობაც.

პროკურორი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ აფორმებს დადგენილებას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს და გაეგზავნოს დადგენილების ასლები ბრალდებულს, მის დამცველს და დაზარალებულს, ასევე იმ პრის ვისი განცხადების

საფუძველზეც დაიწყო გამოძიება. აღნიშნულ პირებს ასევე უნდა განემარტოთ დადგენილების გასაჩივრბის წესი. დადგენილება საჩივრდება ერთჯერადად ზემდგომ პროკურორთან.

თავი III. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ზოგადი წესები

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზოგად დებულებებს არა მარტო თეორიული არამედ, უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, მით უმეტეს, რომ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმაწინა საპროცესო კოდექსთან შედარებით, განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ცალკეულ პროცესუალურ წესებს.[22] გამოძიება, რომელიც წინ უძღვის სასამართლო განხილვას[23], წარიმართება პროკურორის პროცესუალური ხელმძღვანელობით.

საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში პროკურორი, გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

უფლებამოსილი პირები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ გამოძიებას, შეუძლიათ ჩაატარონ ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, ვალდებულნი არიან გამოძიება აწარმოონ ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად. მხარეებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თანაბარი უფლებები აქვთ.

---

[22]მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი მე-2 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 25;

[23]საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2016 წ. მდგ.;

ისინი საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ საპროცესო კოდექსით დადგენილის წესით, რათა მოხდეს საქმეზე მტკიცებულებათა შეკრება[24]. პროკურორს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს დაესწროს საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს. მას ასევე შეუძლია დაესწროს დაცვის მხარის თანხმობის შემთხვევაში, მათ მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს. დაცვის მხარის საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს გამომძიებელი, მაგრამ ეს გამომძიებელი არ უნდა იყოს იგივე პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს გამოძიებას კონკრეტულ საქმეზე. დაცვის მხარეს არ აქვს უფლება საგამოძიებო მოქმედება ჩაატარონ გადაუდებელი აუცილებლობთ.

საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს მხოლოდ ის პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული ასეთი უფლება. ასეთი პირია გამომძიებელი, ხოლო პროკურორი რომელიც უშუალოდ იძიებს საქმეს სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

საგამოძიებო მოქმედებები ტარდება მაშინ, როდესაც არსებობს ისეთ მტკიცებულებები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მივიღებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება საქმის სწორად წარმართვისთვის.

ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს სერიოზული სახელმწიფო იძულებითი ღონისძიება, საჭიროა დადგენილების გამოტანა, რათა მოწინააღმდეგე მხარეს მიეცეს საშუალება გაასაჩივროს გამომძიებლის გადაწყვეტილება, შემოწმდეს, არსებობდა თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი.

ექსპერტიზის დანიშვნისათვის საკმარისია გამომძიებლის დადგენილება, ხოლო ისეთ საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, საჭიროებს მოსამართლის განჩინებას.

[24]ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი, თბ., 1982, გვ. 47

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება აუცილებლია აისახოს ოქმში. ოქმში ასახული უნდა იყოს: ოქმის შედგენის ადგილი, დაწყებისა და დასრულების დრო, ოქმის შემდგენის თანამდებობა და გვარი, სხვა მონაწილე პირების სახელი და გვარი. ოქმში ასევე უნდა აისახოს ყველა ის ტექნიკური საშუალება, რომელიც გამოყენებულ იქნა საგამოძიებო მოქმედებაში. ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს ყველა ისშენიშვნა და დამატება რაც გააჩნიათ სხვა მონაწილე პირებს, და ეს შენიშვნები და დამატებები უნდა დადასტურდეს ხელის მოწერით.

გამომძიებელს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეუძლია ისარგებლოს ოპერატიული სამსახურის შესაძლებლობებით[25], რაც გამოიხატება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის დაცვაში, ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და იმ პირების წარდგენაში, რომლებიც თავს არიდებენ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას კვლებისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციისათვის გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები[26]. ასეთი საშუალებებია: დაქტილოფირი, ფხვნილები, ფოტო, კინო, აუდიო, ვიდეო აპარატურა და ა.შ.

კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბრალდებულს, დაზარალებულს და მოწმეს. თუ მონაწილე პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მას ენიშნება თარჯიმანი, თუ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირი არის ბრალდებული, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის დასწრება. თუ მონაწილე პირი უნდა დაიკითხოს და არ შესრულებია 14

[25]საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 2016 წ. მდგ.
[26]ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში, თბ., 2005, გვ. 48

წელი, აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვის თანხმობა და მისი დასწრება.

გამომძიებელს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი, თუ საჭიროა მისი დახმარება მტკიცებულებების აღმოჩენასა და ფიქსაციაში. ექსპერტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ცოდნით.

გამომძიებელი ვალდებულია პროცესის მონაწილე პირებს განუმარტოს მათი უფლებები და მოვალეობები და უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა. აუცილებელია მათ გადაეცეთ მათი უფება-მოვალეობების წერილობითი ნუსხა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აუცილებელია მკაცრად იქნას დაცული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად და მას არავითარი პროცესუალური ძალა არ ექნება[27].

დანაშაულის გამოძიების პროცესში გამომძიებელის მთელი საქმიანობა მიმართულია წარსულში მომხდარი ფაქტების ყოველმხრივი გამოკვლევისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისკენ. გამომძიებლის მიერ წარმოებული ეს უაღრესად შრომატევადი შემეცნების პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული წინააღმდეგობრივი საფეხურის სახით, რომელთა დაძლევაში მას ხელს უწყობს და ეხმარება აზროვნების ლოგიკური კანონების სწორი გამოყენება.

გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და საკითხების ახსნა-გამოკვლევის ამ შემეცნების პროცესში გამომძიებელი შემოქმედებითად იყენებს რა ლოგიკური აზროვნების კანონებს, საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე აგებს მათი ახსნის სხვადასხვა სავარაუდო მოსაზრებებს, ეგრეთ წოდებული საგამოძიებო ვერსიების სახით.

[27]ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პოცესში, თბ., 2010, გვ. 75

კრიმინალისტიკური ვერსიები და მათ შორის საგამოძიებო ვერსიები არის წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შემეცნების, დანაშაულის გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.[28]

გამოძიების პროცესში კრიმინალისტიკური ვერსია შესაძლოა წამოყენებული იყოს როგორც გამოძიებლის, ასევე სასამართლოს, სამძებრო ოპერატიული მუშაკის, ექსპერტის, ბრალდებულისა და დაზარალებულის მიერ. საგამოძიებო ვერსიის წამოყენების უფლება მხოლოდ პროკურორსა და გამომძიებელს აქვთ. სასამართლოში საქმის განხილვისას პრობლემის ახსნა-გამოკვლევის მიზნით წამოყენებულ ვერსიას სასამართლო ვერსია ეწოდება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დროს წამოყენებულ ვერსიას კი ოპერატიულ-სამძებრო ვერსია. ექსპერტის მიერ საექსპერტო კვლევის პროცესში წამოყენებული ვერსია კი საექსპერტო ვერსიაა.

არსებობს საგამოძიებო ვერსიების სამი სახე: ზოგადი, კერძო და დეტალური. ზოგადი საგამოძიებო ვერსია ეხება მომხდარი გამოსაძიებელი შემთხვევის ზოგად ახსნას. მაგალითად: შემთხვევის ადგილზე გვამის აღმოჩენისას, შესაძლოა წამოყენებულ იქნას ვერსიები თუ რა გარემოებებს ჰქონდა ადგილი ამ კონკრეტულ ვითარებაში. ეს იყო მკვლელობა, თვითმკვლობა, უბედური შემთხვევა, თუ თვითმკვლელობის ინსცენირება.

კერძო საგამოძიებო ვერსიის აგებას მიმართავენ მაშინ როდესაც საჭიროა გამოსაძიებელი დანაშაულის შემადგენლობის ცალკეული ელემენტების ახსნისათვის. ეს ელემენტებია: დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე. მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში კერძო ვერსია შესაძლოა წამოყენებულ იქნეს იმის ასახსნელად, თუ ვინ არის გარდაცვლილი (დანაშაულის ობიექტი) თუ სად

[28]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი) დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის მეთდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა, თბ., 2013, გვ.314.

როგორ და რა გარემოებებში იქნა მოკლული (ობიექტური მხარე); ვის შეეძლო ჩაედინა ეს დანაშაული (დანაშაულის სუბიექტი); მკვლელობა ჩადენილი იყო განზრახ თუ გაუფრთხილებლობით (სუბიექტური მხარე).

დეტალური სახის ვერსიებს იყენებენ ისეთი გარემოებებისა და ფაქტების დასადგენად, რომელსაც მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის ცალკეული ელემენტების ახსნისათვის, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ოპერატიული გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის. მაგალითად, დანაშაულის შემადგენლობაზე არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს ის ფაქტორი, თუ რა სისტემის იარაღიდან გასროლილი ტყვიით იქნა ადამიანი მოკლული, მაგრამ თუ დავადგენთ იარაღის სისტემას, იარაღის ნომერს ეს შესაძლოა გახდეს დანაშაულის სწრაფი გახსნის საფუძველი.

ვერსიების აგებისა და შემოწმების პროცესი გამოძიების თანმდევი პროცესია. იგი მიმდინარეობს გამოძიებასთან ერთად და არ შეიძლება მიეცეს ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი სახე, ვინაიდან იგი შესაძლოა ამ პროცესში რამდენჯერმე შეიცვალოს (მაგ: ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო). ვერსიების აგება წარმოებს გამოძიების დაწყების მომენტიდან, მის დამთავრებამდე და ამ პერიოდში იგი მუდმივ დინამიკაშია.

საგამოძიებო ვერსიები, რომელებიც წამოყენებულ იქნება გამოძიების პროცესში არ შეიძლება განიხილოს, როგორც მხოლოდ ლოგიკური აზროვნებისა და გამომძიებლის ფანტაზიის ნაყოფი. ყველა ვერსიას საფუძვლად უნდა ედოს გამომძიებლის ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემები.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის ირგვლივ, გამომძიებლის ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემებზეა დამოკიდებული ვერსიების მრავალფეროვნება. საქმეზე წამოყენებული ყველა ვერსია უნდა განიხილებოდეს თანაბრად და არ შეიძლება რომელიმე ვერსიას მიენიჭოს უპირატესობა, რადგან

ასეთი მიდგომით გამომძიებელი შესაძლოა მივიდეს უარყოფით შედეგამდე. ყველა ვერსიის შემოწმება და განხილვა უნდა მოხდეს პარალელურად.

გამოძიების დაგეგმვის გამოყენებას, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის სისტემაში სპეციფიკური ხასიათი აქვს. მისი საფუძვლიანი დამუშავებით კი იგი კრიმინალისტიკური ტაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გამოძიების დაგეგმვის ტაქტიკის ფუნდამენტური შესწავლა ხელს უწყობს კრიმინალიტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ტაქტიკური ხერხების გამოყენებას და ამით კონკრეტულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დროულად დადგენას.

გამოძიების გეგმის შედგენა სასურველია მოხდეს გამოძიების საწყის ეტაპზე, (გამომძიებელს ამ დროს ხელთ აქვს ყველა ის მონაცემი, რაც საჭიროა საგამოძიებო ვერსიის აგებისა და გეგმის შედგენისათვის) ვინაიდან საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა ბევრადაა დამოკიდებული საგამოძიებო მოქმედებების სწორ და თანმიმდევრულ ჩატარებაზე.

გამოძიების დაგეგმვის ეს მთლიანი პროცესი შემდეგი სახის ჯაჭვური რეაქციით მიმდინარეობს. გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მონაცემების შეკრება და მათი შეკრებილი ანალიზი და შეფასება; ვერსიების შემოწმება და ამით ახლად მიღებული მონაცემების ანალიზი, შეფასება და კვლავ ახალი ვერსიის აგება შემოწმება და ა.შ.[29]

გამოძიების დაგეგმვას ახასიათებს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი ესენია: მისი დინამიკურობა და ინდივიდუალურობა. გამოძიების გეგმა, გამოძიების ცალკეულ ეტაპებზე განიცდის ცვლილებებს. გამომძიებელი ვალდებულია ახლად მიღებული მონაცემების საფუძველზე გეგმაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები. ერთ კონკრეტულ საქმეზე შედგენილი გეგმა არ შეიძლება დაკოპირებული და

[29]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 321.

გადატანილი იქნეს სხვა, თუნდაც იმავე კატეგორიის დანაშაულის გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე, რადგან ყველა სისხლის სამართლის საქმეზე შედგენილი გეგმა კონკრეტული, სპეციფიკური გარემოებებისა და მონაცემების გათვალისწინებით ინდივიდუალურია. ამრიგად, ერთ საქმეზე შედგენილი გეგმა ვარგისია მხოლოდ ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად და შაბლონურად არ უნდა იქნას გადატანილი სხვა საქმეზე.

ზოგადად, დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიებას აწარმოებს ერთი გამომძიებელი, რომელმაც უშუალოდ მიიღო საქმე წარმოებაში. ამიტომ, გამოძიების გეგმასაც ეს გამომძიებელი ადგენს. პრაქტიკაში არის რთული საქმეებიც. მრავალეპიზოდიანი საქმეების გამოძიებისას საჭიროა ყველა ეპიზოდის გაომკვლევა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამომძიებელი ფიზიკურად ვერ შესძლებს. ასეთ შემთხვევებში გამომძიებელი ადგენს საერთო გეგმას და ზემდგომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გამოძიების პროცესში შეუძლია ჩართოს სხვა გამომძიებელი და საქმე აწარმოოს ჯგუფური მეთოდით.

დანაშაულის გახსნა ძირითადად დამოკიდებულია, იმაზე, თუ რამდენად მაღალხარისხიანად იქნა ჩატარებული რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების აღმოჩენის, მათი ფიქსაციისა და გამოკვლევის მიზნით და რა შედეგის მომცემია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით მიღებული შედეგი. გარდა გამოძიების გეგმისა, გამომძიებელმა აუცილებლად უნდა შეადგინოს საქმეზე ჩასატარებელი ცალკეული საგამოძიებო მოქმედების გეგმაც. ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარების წესის, ტაქტიკური ხერხებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების თავისებურებებით განსხვავდება ერთმანეთისგან, აქედან გამომდინარე ყველა საგამოძიებო მოქმედებაზე ცალ-ცალკე უნდა მოხდეს საგამოძიებო მოქმედებების გეგმის შედგენა.

საგამოძიებო სიტუაცია წარმოიშობა გამოძიების პროცესში და ამ პროცესშივე განიცდის ცვლილებებს. სიტუაცია (Situation) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შექმნილი პირობების ერთობლიობას, გარემოებას, მდგომარეობას. შექმნილი პრიობები და გარემოებები კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ქცევაზე და მის შემდომ წარმართვაზე, ეს კი განაპირობებს გაომოძიების ამა თუ იმ ეტაპზე, გამომძიებლის მიერ ტაქტიკური ხერხების შერჩევას და შექმნილი სიტუაციის ადეკვატურად მოქმედებას.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში განარჩევენ საგამოძიებო სიტუაციის ოთხ სახეობას, ესენია: ზოგადი, კერძო. მარტივი და რთული საგამოძიებო სიტუაციები.

ზოგადი საგამოძიებო სიტუაცია - ეს არის გამოძიების მსვლელობა, მდგომარეობა, საქმეზე მნიშვნელობით მქონე დადგენილ და დასადგენ გარემოებათა ერთობლიობა, ამ გარემოებების სირთულე და სხვა ამოცანების გადაწყვეტა გამოძიების მოცემულ მომენტში.

კერძო სიტუაცია ეხება გამოძიების ცალკეული ეპიზოდების მდგომარეობას, გარკვეული გარემოების ახსნას, მათ მნიშვნელობას, ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პირობებს, ადგილზე არსებულ მატერიალურ მდგომარეობას, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილე პირთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სხვა. მარტივ სიტუაციად მიჩნეულია ისეთი გარემოება, როცა გამოძიების დასაწყისში, დანაშაულის ჩამდენი პირი სახეზეა და შემთხვევა ატარებს ერთნიშნიან ხასიათს. რთულ საგამოძიებო სიტუაციაში კი - ისეთი შემთხვევები იგულისხმება, როცა გამოძიების დასაწყისში დანაშაულებრივი გარემოების შესახებ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. [30]

[30]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007, გვ.77-82.

თავიIV. საგამოძიებო ექსპერიმენტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, მიღებული ინფორმაციისა და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ საგამოძიებო ექსპერიმენტი[31].

წინასაპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, ახალი საპროცესო კოდექსი ცალკე მუხლად აღარ ითვალისწინებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შედგენის წესებს, რადგანაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე და 135-ე მუხლებში გათვალისწინებული ზოგადი და კერძო დებულებანი საგამოძიებო მოქმედებების ოქმის შესახებ, სავალდებულოა შესასრულებლად ასევე საგამოძიები ექსპერიმენტისათვის.

ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული აღარ არის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების საფუძვლები[32]. ხაზგასმულია მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანი, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მიღებული ინფორმაციისა (ჩვენება) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიების შემოწმება“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ის წრე, რომელიც გამოძიების პროცესში წარმოშობს და აუცილებელს გახდის საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას.

ალბათ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იქნება: მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის ჩვენების სისწორის ადგილზე შემოწმება;

[31]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2016 წ. მდგ,, მუხ. 129;
[32]საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კ/ნაწილი, თბ., 2012, გვ. 79.

ცალკეული ვერსიის შემოწმება; ამოცნობის სისწორის შემოწმება; შესამოწმებელ გარემოებათა მიხედვით საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გზით შეიძლება შემოწმდეს: ხელვადობა, სმენადობა, დროის შემოწმება, შემთხვევის დაგილის დაზუსტება, ამა თუ იმ ხვრელიდან მოძრაობის ან იქიდან გარკვეული საგნის შესაძლებლობის შემოწმება, რაიმე მოვლენის ან მოქმედების შემოწმება, კვალთა აღომცენის პროცესის დადგენა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

ა) საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება;

ბ) მისი ჩატარება.

იმისთვის, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი სწორად და სრულყოფილად ჩატარდეს, ხოლო მიღებული შედეგი უტყუარად მივიჩნიოთ, აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს მისი ჩატარების მიზნები და ამოცანები. სავალდებულოა ასევე მის ჩატარებას წინ უძღოდეს პროცესუალური მოქმედებები.

უპირველეს ყოვლის, უნდა განისაზღვროს საგამოძიებო ექსპერიმენტის შინაარსი, მიზანი, ცდების ჩატარების ან ჩვენების შემოწმების თანმიმდევრობა, განისაზღვროს შესამოწმებელი ფაქტი, გარემოებანი, შეირჩეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭირო საგნები და სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები. „ნამდვილად არსებობს ის ადგილი და გარემოება, რომლის შესახებაც ჩვენება მისცა დაკითხულმა. დადგინდა დანაშაულის ჩადენის მექანიზმი“[33].

დანაშაულის პროცესში გამოყენებული ხერხები და საშულებებით დადგინდეს გვამის აღმოჩენის ადგილი შეესაბამება თუ არა დანაშაულის ჩადენის ადგილს; გაირკვეს მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებებში არსეუბლი წინააღმდეგობები; აუცილებელ შემთხვევეში წინასწარ მოხდეს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილსამყოფელის გაცნობა; შეირჩეს ის

[33]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ზოგადი ნაწილი, თბ., 2013, გვ. 496.

პირები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ექსპერიმენტის ჩატარებაში. თუკი მოწმდება ბრალდებულის ჩვენება, გამომძიებელმა უნდა უზრუნველყოს მისი ბადრაგირება.

თუ ექსპერიმენტის ჩატარება ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას, ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობას და მის განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის გვარი, პირი, რომელმაც მას შუამდგმლობით მიმართა, განკარგულება საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება განჩინების მოქმედების ვადა, პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება. მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლო ბეჭდით.

საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუკი მის ჩატარების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან დაყოვნება შეუძლებელს გახდის აუცილებელი მონაცემების მოპოვებას. შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლო განჩინების გარეშე, გამომძიებლის დადგენილებით, ასეთ დროს პროკურორმა და გამომძიებელმა უნდა შეასრულოს სისხლის სამართლის 112- მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნები.

ამასთანვე, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ზღუდავს კერძო პირის საკუთრებასა და მფლობელობას და ეს პირი განაცხადებს თანხმობას, რომ მის მფლობელობაში და საკუთრებაში ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერტი (ჩვენების

ადგილის შემოწმება), მოსამართლის განჩინება ან გამომძიებლის დადგენილება საჭირო არ არის.

თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ზღუდავს კერძო პირის საკუთრებასა და მფლობელობას, და არ არსებობის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, პროკურორი მიმართავს სასამართლოს განჩინების მისაღებად.

მას შემდეგ, რაც გამომძიებელი ორგანიზებას გაუკეთებს ექსპერიმენტის ჩატარებას, ადგილზე გამოცხადდებიან ექსპერტი, ადვოკატი, ის პირი, რომლის ჩვენებას უნდა შემოწმდეს, ამასთანავე გამომძიებელმა არ უნდა ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი პროკურორის თანხმობის გარეშე. თუ ის ამას მოითხოვს პროკურორი ასევე უფლებამოსილია დაცვის მხარის თანხლებით დაესწროს მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენიტირებულია ექსპერიმენტის ჩატარების პროცესუალური საკითხები, რომლის თანახმადაც თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოებების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ინფორმაციას ან ვერსიას[34].

იმ პირს, რომლის მიერ მოცემული ინფორმაციაც მოწმდება, სთავაზობენ აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველი თავად იყო, აქედან გამომდინარე, გამომძიებელმა ექსპერიმენტი უნდა ჩაატაროს იმავე ადგილას, სადაც მოხდა შესამოწმებელი ფაქტი ან შემთხვევა, თანაც მსგავს პირობებში, თუმცა შესაძლებელია მისი ჩატარება სახეშეცვლილი და ფორმაშეცვლილ სახითაც.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიული სამართლის ნორმით კრძალავს რამოდენიმე პირის

[34]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2015 წ. მდგ,, მუხ. 130.

ინფორმაციის (ჩვენების) ერთდროულად ადგილზე შემოწმებას. პირი, რომლის ინფორმაცია (ჩვენება) ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ თუკი მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება მოწმდება, უნდა გაფრთხილდნენ თუ არა ისინი შეგნებულად ცრუ ჩვენების ან ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებით, ან/და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც კანონმდებლობის ხარვეზად მიგვაჩნია.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს შეუძლია დასვას კითხვები, მოითხოვოს მოქმედების გამეორება, მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი სანის, დოკუმენტის, კვალის თუ ინფორმაციის შემცვლელი სხვა ობიექტის დათვალიერებაში და მხარისა და სხვა მონაწილეების ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მსვლელობას ან მის დამთავრებისთანავე დგება ოქმი, რომელიც შეიძლება დაიწეროს ხელით ან შედგეს ტექნიკური საშუალებით. ოქმში უნდა აღინიშნოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ადგილი, თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დროს, პირები, იმ პირთა თანამდებობა და გვარი, რომლებმაც წარმართეს ეს მოქმედება.

საჭიროების შემთხვევაში მათი მისამართები, რა მიზნით სად და რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტი, კონკრეტულად რით გამოიხატა შემთხვევის ვითარების აღდგენა, რა შინაარსისაა ადგილზე მიღებული ინფორმაცია (ჩვენება) რა საგანი, დოკუმენტი თუ ინფორმაცია იყო აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული, რა დააზუსტა პირმა თავის ინფორმაციაში, რა საცდელი მოქმედებები, როგორ თანმიმდევრობით, ვის მიერ

რამდენჯერ ჩატარდა და რა შედეგი იყო მიღებული, გამოყენებული იყო თუ არა ხმის და გამოსახულებით ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ჩაწერა, შედგა ნახაზი ან სქემა, უნდა აღინიშნოს გამოყენებული ტექნიკური საშუალების მახასიათებლები, მათი გამოყენების პირობები და მიღებული შედეგები. ამოღებული ინფორმაცია და მასალა უნდა დაილუქოს და დადასტურდეს მონაწილეთა ხელმოწერით.

ოქმის შედგენის შემდეგ იგი გასაცნობად უნდა წარედგინოს მასში მონაწილე პირებს, რომლებსაც უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ ოქმის გაცნობის შემდეგ გამოთქვან შენიშვნები, დამატებები ან შესწორებები, რომლებიც ოქმში აისახება. ყველა ზემოთ აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს ხელმოწერით. ოქმის ასლი გადაეცემა მხარეებს.

ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მასში მონაწილე ყველა პირმა. თუკი რომელიმე მონაწილე უარს აცხადებს ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება აღნიშვნა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ის პირი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო ექსპერიმენტი. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს, უნდა მიეცეს შესაძლებლობას განმარტოს ამის მიზეზები, რაც ასევე აღინიშნება ოქმში. თუ კი რომელიმე მონაწილე ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ოქმს ხელს მოიწვევა გარეშე პირი, რომელიც ხელმოწერით მის ნაცვლად დაადასტურებს მას[35].

თავი V. ამოსაცნობად წარდგენა

[35]საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012, გვ. 94-97.

ამოსაცნობად წარდგენა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც „არის გამოძიების მიზნებისათვის ცოცხალი პირების, გვამის, საგნისა და სხვა ობიექტების ამოცნობა-დადგენა ამომცნობი პირის მეხსიერებაში აღბეჭდილი ამ საგნებისა და ობიექტების ნიშან-თვისებების მიხედვით“[36].

იურიდიული ბუნებით ამოსაცნობად წარდგენა განსხვავდება სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან. თუ პროცესის მონაწილე აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ამოიცნოს პირი, საგანი, ნივთი ან სხვა ობიექტი და ვერ ამახვილებს ყურადღებას მათ ცალკეულ ნიშნებზე, ამოცნობის ჩატარებას აზრი ეკარგება. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების დროს ამოსაცნობად წარდგენა ტარდება ამომცნობის თანხმობით. საპროცესო კანონმდებლობით ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს: ნივთის, საგნის, ადამიანის, ცხოველის დოკუმენტის და გვამის[37].

ამოსაცნობად წარდგენას წინ უსწრებს დაკითხვა. ამომცნობი უნდა დაიკითხოს ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალურ და გვარეობით ნიშან-თვისებათა თაობაზე და უნდა განმარტოს, რა აკავშირებს ამოსაცნობ ობიექტთან, რა ნიშან-თვისებებით შეუძლია ამოცნობა. დაზარალებულის მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი სახის ინფორმაციის მიღებას, როგორიცაა მოპარული ნივთების მოპარვის დროის, ადგილის, ვითარების ნიუანსებს[38].

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპარულია მეპატრონის მიერ საგანგებოდ შენახული ნივთები, როგორსაც შესაძლოა წარმოადგენდეს ფული; ვალუტა; ოქროს ნაწარმი და ა. შ, აუცილებელია, დაკითხვის დროს ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, იცოდა თუ არა დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, სხვა

[36]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 512;
[37]საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012, გვ. 92-93.
[38]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., 2013, გვ. 217.

პირმა აღნიშნული ქონების ადგილსამყოფელი ან საერთოდ ქონების არსებობის ფაქტი.

დაზარალებულის დაკითხვის დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს, ფაქტის დადგენის მომენტში მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან, იმ გარემოებებთან, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ დანაშაულის აღქმა - გაანალიზებასთან. კერძოდ: არსებობდა თუ არა რაიმე სახის გარემოება, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა დაზარალებულის მიერ ფაქტების დამახინჯებულ აღქმასთან, რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს, როგორც რაიმე მოქმედების უტრირებულ აღქმაში, ასევე ისეთ დეტალებზე ყურადღების გამახვილებაში, რომელიც ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, დანაშაულის გასახსნელად.

უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას წარმოადგენს დაზარალებულისათვის აღქმის ფუნქციის ხელშემწყოფი და ხელშემშლელი გარემოებების გამოვლენა, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის მიღება. მაგ: იყო თუ არა კონკრეტულ მომენტში დაზარალებული ფხიზელ მდგომარეობაში; ხომ არ იყო გადაღლილ მდგომარეობაში, იმყოფებოდა თუ არა მარტო; იმ შემთხვევაში თუ მასთან ერთად ფიქსირდებიან თანმხლები პირები, რა რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი, მათი კომუნიკაცია სავარაუდოდ შეუშლიდა თუ არა ხელს დანაშაულის დეტალურ აღქმას და ასე შემდეგ. დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ამოცნობის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში,გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს ამოცნობა, რის წინა პირობასაც წარმოადგენს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, კერძოდ: ადგილი და დრო, სადაც ამოსაცნობად წარდგენა მოხდება; გარეგნობის, სტილის, ჩაცმულობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნეს ბრალდებულის ბსგავსი - ორზე მეტი პიროვნება (ორი ან მეტი).[39] ამოცნობის მოქმედების გახორციელების

[39]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, გვ. 514-515.

ტექნიკური დეტალები ითვალისწინებს, ამოსაცნობი და ამომცნობი პირების დაპირისპირების უზრუნველყოფას, პოზიციების დაფიქსირების ასპექტში.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული იდენტიფიცირებული არ არის, შესაძლებელია მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული, მსგავსი ტიპის დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირების ფოტო-მასალის წარდგენა დაზარალებულისათვუს, რადგან არსებობს თეორიული შემთხვევები დამთხვევის დაფიქსირებისა, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს დანაშაულის რეციდივის ან სხვა გარემოებიდან გამომდინარე. ასეთი ტიპის მოქმედება, დანაშაულის გახსნის პროცენტულ შესაძლებლობას ზრდის, ისევე, როგორც აჩქარებს დროის ფაქტორს.

იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიმე სახის ობიექტზე, პირთან აღმოჩენილი იქნება დაზარალებულის მიერ ჩვენებაში აღწერილი დაკარგული ნივთები, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაზარალებულს და მოხდეს მისი მხრიდან აღმოჩენილი ნივთების ამოცნობის პროცედურის ჩატარების უზრუნველყოფა. ამასთან, ცრუ ინფორმაციის მიღების გამორიცხვისათვის, ნივთების აღმოჩენის შემდგომ, აღნიშნილ ნივთებზე დაფიქსირებული მახასიათებლების დაფიქსირების უზრუნველყოფის მიზნობრიობით, უნდა მოხდეს დაზარალებულის განმეორებითი დაკითხვაც, დამატებითი ინფორმაციის მიღებისმოტივით.

აუცილებელია მოხდეს სამართალწარმოების ენის ფლობის ფაქტის დადასტურება, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს თარჯიმანის დახმარებას, რისი შეუსრულებლობაც მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას განაპირობებს, რაც სავსებით შესაძლებელია, საფუძლად დაედოს მოწმის დისკვალიფიკაციას. პირის დაკითხვამდე, მისი გამოცხადების შემდგომ უნდა მოხდეს პერსონალური - ანკეტური მონაცემების შესაბამისობის დადგენა წარმოადგენილ დოკუმენტაციაში ასახულ პერსონალურ მონაცემებთან.

ამოსაცნობად წარდგენამდე დაკითხვის ეფექტურობას უზრუნველყოფს მთელი რიგი ისეთი საკითხების გათვალისწინება, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დასაკითხი პირისაგან სწორი და ობიექტური ჩვენება, გავხადოთ დაკითხვა მიზანსწრაფულ მოქმედებად. დაკითხვის ეფექტურობას განაპირობებს მომზადებულად ჩატარება, დაკითხვის გეგმის სწორად შედგენა, საქმის მასალების კარგად ცოდნა, დაკითხვის დროისა და ადგილის სწორად განსაზღვრა, დასაკითხ პირთან ნორმალური ფსიქოლოგიური ურთიერთობის დამყარება, დაკითხვის ჩატარება ნორმალურ პირობებში და ვითარებაში, დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევა კონკრეტული სიტუაციისა და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინებით, გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოების გახსენება - აღდგენაში ხელის შეწყობა.

ყოველი ტაქტიკური ხერხი, რომელიც გამოიყენება ამოსაცნობად წარდგენის პროცესში, უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებაში მყარად და საიმედოდ დადგენილ დებულებებს. ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს შემოწმებული და აპრობირებული პრაქტიკაში. ამ დროს დაცული უნდა იყოს ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. დაუშვებელია ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ამცირებს პიროვნების პატივსა და ღირსებას. ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიცრუეს, უსაფუძვლო დაპირებებს, ჩვენების გამოძალვას, შანტაჟს[40]. საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს. იგი იძლევა გარანტიას, რომ ჩვენების შედეგად მიღებულ ფაქტებსა და გარემოებებს მიენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მოწმის ჩვენების შინაარსი განპირობებულია (დამოკიდებულია) გამოსაკვლევი მოვლენის ხასიათით, მისი დროის და სივრცული მახასიათებლებით, განუმეორებელი ინდივიდუალურობით, მაგრამ რაღაც შემთხვევითი თუ კანონზომიერი პროცესების შედეგად ეს მოვლენა გახდა მოწმის ცხოვრების ფაქტი,

[40]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2015 წ. მდგ.

რომლითაც გადაიკვეთა მისი პირადი გარემოებები, ცხოვრებისეული ცალკეული მომენტები. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული საგამოძიებო მოქმედების ფიქსაციის ხერხების და საშუალებების სწორად გამოყენებას.[41]

ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს: ვიზუალური დაკვირვებით, ვიზუალური დაკვირვების გარეშე და ფოტოსურათით.

ცოცხალი პირის ამოცნობისას ამომცნობს ამოსაცნობი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკებ 2 ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. ამის შემდეგ შეიძლება ამოსაცნობი და სხვა პირები წარუდგინონ ამომცნობს.

საგნის ამოცნობისას ობიექტი ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად, ამომცნობს სთავაზობენ მიუთითოს ობიექტი, რომლის ამოცნობაც შეუძლია და განმარტოს რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი. როცა ამომცნობისათვის იმ ობიექტის ფიზიკურად წარდგენა შეუძლებელია, რომლის ამოცნობაც უნდა მოხდეს, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 3 სხვა ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილი ობიექტებიც მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან.

ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომელიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი პირის იდენტიფიკაციისათვის, ან ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე. ამომცნობის მიერ ამოსაცნობი ობიექტის

[41] Долговой А.И.,Методика криминологических исследований,М., 2005.

განმეორებით ამოცნობა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინა ამოცნობა ფოტოსურათით ჩატარდა.

გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი ობიექტის არსებობისას, რომლის ანალოგიური საგნის შერჩევაც შეუძლებელია, ამოცნობა ტარდება მხოლოდ წარმოდგენილი ობიექტის მიხედვით.

ამოსაცნობად წარდგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქურდობის საქმეთა გამოძიებისას. შეიძლება ჩატარდეს არა მარტო ბრალდებულის, არამედ მოპარულ ნივთების, ავტომანქანის, სხვა პირადი სამკაულების, საოჯახო-სამეურნეო საგნებისა ამომცნობა. იმ შემთხვევაში, როცა გამოძიების პროცესში ბრალდებულის ან დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირების პირადი ან მათი საცხოვრებელი ბინების ან დამხმარე სათავსების ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნება დაზარალებულის მიერ აღწერილი მოპარული ნივთების მსგავსი საგნები, მოწვეულ უნდა იქნას დაზარალებული და მას წარედგინოს ეს ერთგვაროვანი საგნები ამოსაცნობად და შედგეს ამოცნობის ოქმის შესაბამისი წესების დაცვით.თუ მოწმე აცხადებს, რომ მან დაინახა თავისი მეზობლის ბინის ფანჯრიდან ჩანთით ხელში გამოსული მამაკაცი, აღწერს მის გარეგნობას და ამბობს, რომ მას შეუძლია მისი ამოცნობა სიარულის განსაკუთრებული მანერით, აღწერს მის გარეგნობას და, თუ მსგავსი პიროვნება დაკავებულია ბრალდებულის სახით, მაშინ უნდა შეირჩეს მისი მსგავსი ორი ან მეტი პირი და მათ შორის, თავისი სურვილით, ამოირჩიოს ადგილის ამოსაცნობმა პირმა.

ყოველივე ამის შემდეგ შეყვანილ უნდა იქნეს ამომცნობი და მიეცეს წინადადება დაათვალიეროს მისთვის ამოსაცნობად წარდგენილი პირები და, თუ რომელიმე მათგანს ამოიცნობს, როგორც ქურდობაში ბრალდებულს, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს ამოცნობის ოქმში. ამასთან, უნდა მოხდეს ამომცნობი პირის

დამატებითი დაკითხვა იმ ნიშნების შესახებ, რომლითაც მან შეძლო ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოცნობა.[42]

მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის დაკითხვით მიღებული მონაცემების შემდგომი დაზუსტების, შემოწმების, ფიქსაციისა და ახალ მტკიცებულებათა მიღების მიზნით, მოცემული კატეგორიის საქმეებზე, მთელ რიგ შემთხვევებში, აუცილებელია ჩატარდეს ამ დაკითხული პირების ჩვენების ადგილზე შემოწმება ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში. ზოგჯერ კი შეიძლება საჭირო გახდეს აგრეთვე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება ამა თუ იმ ქმედების ჩადენის შესაძლებლობის, ხილვადობის ან სმენადობისა და დაკითხული პირის მიერ მითითებული ადგილიდან ამა თუ იმ მოცულობის მოპარული საგნის გატანის ან გადაადგილების შესაძლებლობის დასადგენად და სხვა[43].

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშორმში განხილული საგამოძიებო მოქმედებები - საგამოძიებო ექსპერიმენტი და ამოსაცნობად წარდგენა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებებია. დანაშაულთა გამოძიების და გახსნის ტაქტიკურ ხერხებსა და

[42]მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007.
[43]ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., 2013, გვ. 225.

მეთოდებზე ბევრადაა დამოუკიდებელი გამოძიების დროულად და ორგანიზებულად დაწყება, მისი დაგეგმვა, კრიმინალისტიკური ვერსიების აგება, დამუშავება და შემდეგ მისი პრაქტიკაში გამოყენება გამოძიების პროცესში.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ ტაქტიკური ხერხების მნიშვნელობა, მათი შერჩევა და გამოძიების პროცესში გამოყენება, ასევე დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საგამოძიებო სიტუაციის საკითხები, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით ვლინდება დანაშაულის გამოძიების პროცესში.

აღნიშნულ საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ვინაიდან, თუ აღნიშნული მოქმედებები არ ჩატარდა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, მათ არ ექნება არანაირი მტკიცებულებითი ძალა. შესაბამისად, ყველა სამხილი, მოპოვებული საპროცესო მოქმედებების წარმოებისას, მიჩნეულ იქნება დაუშვებელ მტკიცებულებად.

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულთა გამოძიებისას ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის - ამოსაცნობად წარდგენა და საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდეს სრულად, თანამიმდევრულად, კანონის მოთხოვნათა დაცვით და კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული ტაქტიკური ხერხების გამოყენებით, რაც უდაო წინაპირობა იქნება დანაშაულთა გამოძიების, ეფექტურად გახსნის და დამნაშავის დადგენის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2016 წლის მდგ.;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2016 წლის მდგ.;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2016 წლის მდგ.;

4. ავტ. კოლ., სისხლის სამართლის პროცესი, რ., გოგშელიძის რედ., ტ. I-II., 2008;

5. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2009;

6. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-5 გამოცემა, თბ., 2015;

7. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი,მე-6 გამოცემა, თბ., 2016;

8. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები“, თბ., 2007;

9. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი,კერძო ნაწილი, ჯ. გახოკიძის,მ. მამნიაშვილის და ი. გაბისონიას რედ., თბ., 2012;

10. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი,კერძო ნაწილი, ჯ. გახოკიძის,მ. მამნიაშვილის და ი. გაბისონიას რედ., თბ., 2013;

11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;

12. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013;

13. ფაფიაშვილი შ., მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები, თბ., 2004;

14. ფაფიაშვილი შ., სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა, თბ., 2003;

15. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტომი II, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007;

16. ფაფიშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007;

17. ფაფიშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. 2,დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2001;

18. ფიცხელაური შ., „სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში“, თბ., 2005;

19. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;

20. ხარაზიშვილი ბ., კრიმინალისტიკა, თბ., 1969.